

სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის დასახელება - შპს მეოხი

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი- 212804722

კომპანიის 100% წილის მფლობელი - ნანა კვერნაძე პN -60001025846

კომპანიის დირექტორი: ჯემალი კვერნაძე პN – 60001025845

კომპანიის იურიდიული მისამართი - ქუთაისი, კ.გამსახურდიას N 43ბ-გ

E-mail- vlmeoxi@gmail.com

ზოგადი დებულებები

1.1. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს კანონის "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად.

2.2 კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი (GEL).

1.2. კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს.

2. შემოსავლის აღიარება

2.1. კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას ძირითადად წარმოადგენს ტენდერებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც აღიარდება მაშინ, როდესაც:

- როდესაც ხდება სამუშაოს დასრულება, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა
- ავანსების მიღების შემთხვევაში, ხდება მიღებული ავანსის დაბეგვრა, რომელსაც კომპანია გაქვითავს შესაბამისი შესრულების პროპორციულად.

2.2. მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის პერიოდში, დასრულების ხარისხის მიხედვით.

2.3. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.4 კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი (GEL).

3. ხარჯების აღიარება

3.1. ხარჯები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ისინი გაწეულ იქნა, მიუხედავად იმისა, როდის მოხდა ფულის გადახდა.

3.2. ტენდერებთან დაკავშირებული ხარჯები (მაგ., მოსამზადებელი სამუშაოები) აღიარდება მაშინვე, როგორც კი ისინი გაიწევა.

4. ძირითადი საშუალებები

4.1. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის გამოკლებით.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

4.3. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობა-ნაგებობები: 20-50 წელი
- ოფისის აღჭურვილობა: 3-5 წელი
- ავტოსატრანსპორტო საშუალებები: 5-10 წელი

5. არამატერიალური აქტივები

5.1. არამატერიალური აქტივები (მაგ., პროგრამული უზრუნველყოფა) აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

5.2. ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, 3-5 წლის განმავლობაში.

6. მარაგები

6.1. მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

6.2. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

6.3 მარაგების ნაწილში ძირითადად კომპანია ახდენს იმ ნედლეულის და მასალების შეძენას, რომელიც სჭირდება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

7. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

7.1. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

7.2. საექვო ვალებისთვის იქმნება რეზერვი ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

8. უცხოური ვალუტა

8.1. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ლარში ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

8.2. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსით.

9. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

9.1. ფინანსური ანგარიშგება მზადდება წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 8-9 თვის ვადაში.

9.2. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას

- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას
- განმარტებით შენიშვნებს

10. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

10.1. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოითხოვება კანონმდებლობით ან გამოიწვევს უფრო სარწმუნო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას.

დამტკიცებულია:

11. სესხები და სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების დანახარჯების გამოკლებით.

შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში.

სესხის აღებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები (მაგ., საკომისიო) კაპიტალიზდება და ამორტიზდება სესხის ვადის განმავლობაში.

სესხები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, თუ მათი დაფარვა მოსალოდნელია 12 თვის განმავლობაში.

სესხები, რომელთა დაფარვა მოსალოდნელია 12 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგ, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

თუ სესხის პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ეს აღირიცხება როგორც თავდაპირველი სესხის დაფარვა და ახალი სესხის აღება.

თუ ცვლილება არ არის მნიშვნელოვანი, კორექტირდება სესხის საბალანსო ღირებულება და აღიარდება მოგება ან ზარალი.

ვადაზე ადრე დაფარვისას წარმოქმნილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები კაპიტალიზდება, თუ ისინი უშუალოდ უკავშირდება კვალიფიციური აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას.

12. გაცემული და მიღებული ავანსები:

- გაცემული ავანსები აღიარდება აქტივად იმ მომენტში, როდესაც გადახდა განხორციელდება.
- თავდაპირველი აღიარება ხდება გადახდილი თანხის ოდენობით.
- გაცემული ავანსები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, თუ მოსალოდნელია მისი გამოყენება ან დაბრუნება 12 თვის განმავლობაში.
- თუ გაცემული ავანსის გამოყენება ან დაბრუნება მოსალოდნელია 12 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგ, ის კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.
- მიღებული ავანსები აღიარდება ვალდებულებად იმ მომენტში, როდესაც თანხა მიიღება.
- თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხის ოდენობით.
- მიღებული ავანსები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ მოსალოდნელია მისი დაფარვა (მომსახურების გაწევა ან საქონლის მიწოდება) 12 თვის განმავლობაში.
- თუ მიღებული ავანსის დაფარვა მოსალოდნელია 12 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგ, ის კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

13.3. შემდგომი შეფასება:

- გაცემული ავანსები ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეფასდეს გაუფასურებაზე.
- თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ გაცემული ავანსი გაუფასურდა, უნდა აღიარდეს გაუფასურების ზარალი.
- მიღებული ავანსები რჩება ვალდებულებად მანამ, სანამ არ მოხდება მათი აღიარება შემოსავლად ან დაბრუნება.

13.4. ავანსების აღიარების შეწყვეტა:

- გაცემული ავანსის აღიარება წყდება, როდესაც მიიღება შესაბამისი საქონელი ან მომსახურება, ან ხდება თანხის დაბრუნება.
- მიღებული ავანსის აღიარება წყდება, როდესაც გაიწევა შესაბამისი მომსახურება ან მიეწოდება საქონელი, ან ხდება თანხის დაბრუნება.

13.5. ავანსების გადაფასება უცხოურ ვალუტაში:

- უცხოურ ვალუტაში გამოხატული ავანსები არ გადაფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ფულად მუხლებს.

14. დებიტორული და კრედიტორული დავალიანების პატიება

დებიტორული დავალიანების პატიება:

- როდესაც კომპანია პატიობს დებიტორულ დავალიანებას, ეს აღირიცხება როგორც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა.
- პატიებული თანხა აღიარდება როგორც ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

- თუ დებიტორული დავალიანებისთვის უკვე შექმნილი იყო გაუფასურების რეზერვი, პატიების მომენტში მოხდება ამ რეზერვის გამოყენება.
- როდესაც კომპანიას ეპატიება კრედიტორული დავალიანება, ეს აღირიცხება როგორც ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა.
- პატიებული თანხა აღიარდება როგორც შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადით კანონის შესაბამისად.
- თუ დავალიანების პატიება ხდება დაკავშირებული მხარის მიერ, უნდა შეფასდეს, არის თუ არა ეს ოპერაცია კაპიტალში შენატანის ან კაპიტალიდან განაწილების ბუნების.
- თუ ოპერაცია არის კაპიტალში შენატანის ან კაპიტალიდან განაწილების ბუნების, იგი უნდა აღირიცხოს პირდაპირ კაპიტალში და არა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- თუ ხდება დავალიანების ნაწილობრივი პატიება, აღიარების შეწყვეტა ხდება მხოლოდ პატიებულ ნაწილზე.
- დარჩენილი ნაწილი რჩება აქტივად ან ვალდებულებად, შესაბამისად.

15.2. უიმედო ვალის აღიარების კრიტერიუმებად, ჩვენი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით განვსაზღვრეთ:

- დებიტორი გაკოტრებულია ან ლიკვიდაციის პროცესშია
- დებიტორის ადგილსამყოფელი უცნობია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში
- სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულია ვალის ამოუღებლობა
- ვალის ამოღების მცდელობები უშედეგოა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში
- ვალის ხანდაზმულობის ვადა ამოწურულია

უიმედო ვალის აღიარების პროცედურად ჩაითვლება:

- უიმედო ვალის აღიარებაზე გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის ხელმძღვანელობა
- გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს დოკუმენტურ მტკიცებულებებს
- უიმედო ვალის აღიარება ხდება შესაბამისი ბრძანების საფუძველზე
- უიმედო ვალი ჩამოიწერება დებიტორული დავალიანებიდან და აღიარდება როგორც ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში
- უიმედო ვალის რეზერვიდან მოხდება ამ რეზერვის გამოყენება
- თუ რეზერვი არ არის საკმარისი, სხვაობა აღიარდება როგორც დამატებითი ხარჯი
- თუ ადრე ჩამოწერილი უიმედო ვალი შემდგომში ამოღებულ იქნა, ეს თანხა აღიარდება როგორც შემოსავალი

შპს მეოხი

დამტკიცებულია,

დირექტორი , ჯემალ კვერნაძის მიერ

ქ.ქუთაისი

5 იანვარი 2023 წელი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	776405	1907949
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	776405	1907949
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-6940	-582605
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	769465	1325344
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-31959	-269400
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-109016	-79838
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-19056	-60094
იჯარის ხარჯი	-38615	-140294
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-670227	-676310
სულ საოპერაციო ხარჯები	-868873	-1225936
საოპერაციო მოგება	-99408	99408
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-99408	99408
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-99408	99408
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-99408	99408
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	924748	402517

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	422823
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	825340	924748

დირექტორი:

ჯემალ კვერნაძე / ჯ.კვერნაძე/

შპს მეოხი
ს/კ 212804722

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10532	81	4292
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25089	275353	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	984824	1134095	351250
მარაგები	458347	313838	551374
მზა პროდუქცია	456588	312079	549615
სხვა	1759	1759	1759
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10263	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1520820	1525481	1338261
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3009875	3248848	2245177

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	827402	922850	715292
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	299492	327452	326752
საგადასახადო ვალდებულებები	0	164746	54696
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	571200	411870	104587
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	486441	497182	641333
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	2184535	2324100	1842660

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	424823	424823	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-353194	-253786	-353194
გადაფასების რეზერვი	753711	753711	753711

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	825340	924748	402517
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3009875	3248848	2245177
სულ მოკლევადიანი აქტივები	1483216	1723367	4292
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

დირექტორი:

ჯემალ კვერნაძე / ჯ.კვერნაძე/

შპს მეოხი
ს/კ 212804722

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	57251	-4211
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4202	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-42598	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	10451	-4211
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	81	4292
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10532	81

დირექტორი:

ჯემალ კვერნაძე

/ ჯ.კვერნაძე/

შპს მეოხი ს/კ 212804722

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

I ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
შემოსავალი რეალიზაციიდან	970778
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	-886106
გადახდილი ხელფასები	-37770
გადახდილი გადასახადები	-6707

სხვა საოპერაციო შემოსავლები/ხარჯები 17056

წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან 57251

II ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	-12002
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7800
მიღებული პროცენტები და დივიდენდები	0

წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან -4202

III. ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან

სესხის აღება	0
სესხის დაფარვა	-42598
გადახდილი დივიდენდები	0

წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან -42598

წმინდა ზრდა/(კლება) ფულად სახსრებში და მათ ექვივალენტებში 2651

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში 81

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს 10532